ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N194

ქ. ბათუმი 29 სექტემბერი 2017 წ.

ერთის მხრივ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ერმაკოვის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი'', მისი დირექტორის გიორგი გოცირიძის სახით, (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") (ელექტრონული ტენდერი - NAT170010859) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების დამტკიცებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები/მომსახურება (CPV71200000-არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) შემდგომში - ,,მომსახურება", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით. (მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია დანართში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს).
1.2. მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.
1.3. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 20000,00 (ოცი ათასი) ლარს .
2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის/ინვოისის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
2.4. მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.
2.5. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს შესრულებული მომსახურების ღირებულება.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურიოსა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე (მთავარი არქიტექტორი) მირიან მეტრეველი. შემსყიდ-ევლს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს

„შემსყიდველი" „მიმწოდებელი"
(ხელმოწერა) (ხელმოწერა)

ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებლებრივი აქტით მიანიჭოს ქ. ბათუმის მერიის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

3.2. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლის, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 3.1. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული მომსახურების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

3.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

4.5. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
----------	----------
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.
ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.
გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების სრული ღირებულება, მომსახურების დასრულებისთანავე.

5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების, შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02%-ის ოდენობით;

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწნებული პირგასამტეხლო გაუქვითოს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ფასიდან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.
7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა
7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.
7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

8.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში;
8.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2018 წლის 25 თებერვლამდე პერიოდი.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

11. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღე-ბიდან რომელი უფრო გვიანდგება.

13. სხვა პირობები

13.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13.2. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

13.3. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
ს/კ 245576826;
ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ: TRESGE22
ანგ. №GE24NB0330100200165022
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
გიორგი ერმაკოვი

„მიმწოდებელი“

შპს ,,გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი''
ს/კ: 204920309
მის: თბილისი, გამსახურდიას გამზ. 27
სს "თიბისი ბანკის" ცენტრალური ფილიალი
ბ/კ: TBCBGE22
ანგ.NGE55TB0600000017467328
ტელ: +995 32 38 25 42, 599980023
დირექტორი: გიორგი გოცირიძე

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

დანართი:

ტექნიკური პირობები

ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის დამცავი ზონების დამტიკიცებისათვის საკმარისი მონაცემების შეგროვება და დამკვეთისათვის მიწოდება ქალაქის ისტორიული ნაწილის შეუსაბამო ქალაქგეგმარებითი და არქიტიექტურული ინტერვენციებისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად, კერძოდ:

1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

1.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების პროექტებისათვის, განმარტებითი ბარათის-საინფორმაციო პაკეტის წარმოდგენა, რისთვისაც დამკვეთი აწვდის მასალას:

- ტერიტორიაზე არსებული უძრავი ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ჩამონათვალს და მათ შესახებ სააღრიცხვო ბარათებში არსებულ ინფორმაციას;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სარეკომენდაციო ნუსხას და მათ შესახებ სააღრიცხვო ბარათით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- ინფორმაციას ისტორიულ ქუჩათა ქსელის შესახებ;
- ინფორმაციას ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არეალების შესახებ;
- მნიშვნელოვანი ხედებისა და პანორამების ამსახველ ფოტომასალას;
- შესწავლილი ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის შეფასებას და შესაბამისი ზონის დადგენის საჭიროების დასაბუთებას;
- დამცავი ზონის საზღვრების დეტალურ აღწერას ძირითადი ტეხვის წერტილების კოორდინატების მითითებით;
- ტერიტორიის აციფრულ ტოპოგრაფიულ გეგმას ან აერო ან კოსმოსური გადრების მასალებზე დაყრდნობილ ციფრულ ორთოფოტოგამოსახულებებს (მ. 1:2000, 1:5000, 1:10 000);
- თემატურ რუკებს: შესწავლილი ტერიტორიის ფარგლებს (მ.1:50 00, 1:10 000);
- შესწავლილი ტერიტორიის ფარგლებში არსებული უძრავი ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის არსებული ან/და სარეკომენდაციო ობიექტების განლაგებას, უძრავი ძეგლების ინდივიდუალური დამცავი ზონების საზღვრების, თითოეული უძრავი ძეგლის ძირითად კოორდინატს და ინდივიდუალური დამცავი ზონის საზღვრებს გეორეფერენსიერბულ ფორმატში (მ. 1:2000, 1:5000);
- ისტორიულ ქუჩათა ქსელსა და მნიშვნელოვან სივრცით დომინანტებს (მ. 1:2000, 1:5000);
- მნიშვნელოვანი პანორამების აღქმის წერტილების განლაგებას (მ. 1:5000, 1:10 000);
- შესწავლილი ტერიტორიის ფარგლებში არქეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არეალების განლაგებას (მ. 1:5000, 1:10 000);
- ტერიტორიის საკადასტრო გეგმას, ასეთის არსებობის შემთხვევაში (მ. 1:2000, 1:5000);
- ინფორმაციას შესწავლილ ტერიტორიაზე განლაგებული მიწის ნაკვეთების საკუთრების თაობაზე;
- საპროექტო დამცავი ზონების საზღვრებს (მ. 1:2000, 1:5000) ძირითადი ტეხვის წერტილების კოორდინატების მითითებით.

1.2. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონების პროექტებისათვის, განმარტებითი ბარათის-საინფორმაციო პაკეტის წარმოდგენა, რისთვისაც დამკვეთი აწვდის შემდეგ მასალას:

- ინფორმაციას ისტორიული ლანდშაფტის ჩამოყალიბების პროცესის და ძირითადი გავლენის ფაქტორების შესახებ;
- შესწავლილ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის

„შემსყიდველი“ ----------
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“ ----------
(ხელმოწერა)

არსებული და/ან სარეკომენდაციო ობიექტების ჩამონათვალს და მათ შესახებ სააღრიცხვო ბარათით გათვალისწინებულ ინფორმაციას;

- ინფორმაციას შესწავლილ ტერიტორიაზე განლაგებული მიწის ნაკვეთების საკუთრების თაობაზე;
- ლანდშაფტისა და განაშენიანებული გარემოს ურთიერთმიმართების შეფასებას, ლანდშაფტის როლის შეფასებას ისტორიული გარემოს ჩამოყალიბებასა და აღქმაში;
- დამცავი ზონის დადგენის საჭიროების დასაბუთებას;
- დამცავი ზონის საზღვრების დეტალურ აღწერას ძირითადი ტეხვის წერტილების კოორდინატების მითითებით;
- ტერიტორიის ძირითადი ხედების, აღქმის წერტილებისა და პანორამების ამსახველ ფოტომასალას;
- ტერიტორიის აციფრულ ტოპოგრაფიულ გეგმას ან მაღალი რეზოლუციის უახლეს აეროფოტოს (მ. 1:2000, 1:5000, 1:10 000);
- შემდეგ თემატურ რუკებს - სესწავლილი ტერიტორიის ფარგლები (მ. 1:5000, 1:10 000);, შესწავლილი ტერიტორიის ფარგლებში არსებული უძრავი ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის არსებული ან/და სარეკომენდაციო ობიექტების განლაგებას, უძრავი ძეგლების ინდივიდუალური დამცავი ზონების საზღვრების, თითოეული უძრავი ძეგლის ძირითადი კოორდინატს და ინდივიდუალური დამცავი ზონის საზღვრებს გეორეფერენსიერბულ ფორმატში (მ. 1:1000, 1:2000); მნიშვნელოვანი ხედებისა და პანორამების აღქმის წერტილების განლაგება (მ. 1:5000, 1:10 000); ტერიტორიის საკადასტრო გეგმა, ასეთის არსებობის შემთხვევაში (მ. 1:1000, 1:2000, 1:5000); საპროექტო დამცავი ზონის საზღვრები (მ. 1:2000, 1:5000) ძირითადი ტეხვის წერტილების კოორდინატების მითითებით.

2. დამცავი ზონების გრაფიკული ნაწილის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი დეტალები:

ა) რუკაზე გამოყენებული საზღვრის ხაზი და პირობითი აღნიშვნები მითითებული უნდა იქნეს რუკის მასშტაბის შესაბამისად;

ბ) რუკაზე ნათლად უნდა იქნეს დატანილი ხაზოვანი მასშტაბი და ჩრდილოეთის ისარი;

გ) რუკაზე მკაფიოდ უნდა ჩანდეს საკოორდინატო ბადე კოორდინატების მითითებით;

დ) რუკაზე უნდა იყოს გამოყოფილი ადგილი შტამპისათვის, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

დ.ა) საპროექტო დამცავი ზონის დასახელება;

დ.ბ) ტერიტორიის დასახელება;

დ.გ) პირობითი აღნიშვნები;

დ.დ) საპროექტო დამცავი ზონის ფართობი (ჰა);

დ.ე) რუკის შემსრულებელი და შესრულების თარიღი;

ე) დამცავი ზონის ცვლილების შემთხვევაში ასევე მითითებული უნდა იქნეს დამცავი ზონის ძველი და ახალი ფართობი, ასევე ძველი და ახალი საზღვრები.

3. დამცავი ზონების პროექტისათვის საჭირო საკმარისი მონაცემები უნდა წარედგინოს ორ-ორ ეგზემპლარად მყარი და ციფრული ვერსიების სახით.

ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული მომსახურება შემუშავებული ინდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის N181 დადგენილების შესაბამისად.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

ფასების ცხრილი

N	მომსახურების დასახელება	ჯამი (ლარი)
1	ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების პროექტებისათვის, განმარტებითი ბარათის-საინფორმაციო პაკეტის წარმოდგენა (ტექნიკური პირობების 1.1. პუნქტის შესაბამისად)	**10 000,00**
2	ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონების პროექტებისათვის, განმარტებითი ბარათის-საინფორმაციო პაკეტის წარმოდგენა (ტექნიკური პირობების 1.2. პუნქტის შესაბამისად)	**10 000,00**
	სულ ჯამი:	**20 000,00**

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 29 სექტემბერი 2017 წ.

ვადასტურებ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების დამტკიცებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები/მომსახურების ელექტრონული ტენდერის (NAT170010859) განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერმაკოვი